

(სსმ 05.06.2008 N 81 მუხ. 870)

რეგისტრირებულია
საქართველოს იუსტიციის
სამინისტროში
სარეგისტრაციო კოდი
040.030.000.22.028.011.892

**საქართველოს კულტურის, ძეგლთა
დაცვისა და სპორტის მინისტრის
ბრძანება N 3/124
2008 წლის 4 ივნისი ქ. თბილისი**

**“საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს
კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის საექსპერტო კომისიის
დებულების დამტკიცების თაობაზე” საქართველოს
კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 2006
წლის 7 აგვისტოს N 3/255 ბრძანებით დამტკიცებულ “საჯარო
სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს
კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის საექსპერტო კომისიის”
დებულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ**

“ნორმატიული აქტების შესახებ” საქართველოს კანონის 36-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად:

1. “საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის საექსპერტო კომისიის დებულების დამტკიცების თაობაზე” საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 2006 წლის 7 აგვისტოს N3/255 ბრძანებით დამტკიცებულ “საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის საექსპერტო კომისიის” დებულებაში (სსმ III, 08.08.2006N105 მუხ. 1434) შეტანილ იქნას შემდეგი სახის ცვლილებები:

ა) დებულების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

“2. კონკურსზე შემოტანილ პროექტს საექსპერტო კომისიის წევრები აფასებენ ეროვნული კინოცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დამტკიცებული, პროექტის შეფასების წესის მიხედვით.

ინფორმაცია საექსპერტო კომისიის ცალკეული წევრის მიერ განხორციელებულ შეფასებაზე დახურულია.”

ბ) დებულების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

“2. საექსპერტო კომისია უფლებამოსილია განახორციელოს “ეროვნული კინემატოგრაფიის სახელმწიფო მხარდაჭერის შესახებ” საქართველოს კანონით, საკონკურსო დებულებითა და ამ დებულებით გათვალისწინებული საქმიანობა, განიხილოს პროექტები.”

2. ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

მინისტრის მოვალეობის
შემსრულებელი

დ. ანდლულაძე